დადგენილება:**დ-81. 8126210001**
თარიღი:**29/07/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №17

,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2021წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.116.016508) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილნი არიან ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები და ცაგერის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანამდებობის პირი. ზედამხედველობის სამსახურის საჯარო მოხელეები უფლებამოსილი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეადგინონ საქართველოს კანონის ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი'' 55^2, 55^6, 64^2, 77^1, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 103^2, 125-ე მუხლის მე-8 და მე-16 ნაწილებით, 125^4, 134^1, 135, 135^1 , 146^1, 148-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 152, 152^2, 152^8, 153^3 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4, 158^5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159-ე, 159^1, 166^2 მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსი" 31–35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით, 46-ე მუხლით, საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი'' 130-138-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე. საქართველოს კანონის ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი'' 172^8 და 172^9 მუხლებით გათვალიწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს ცაგერის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანამდებობის პირი**.** ''.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com